სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.
წლის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10-ს საათამდე და საღამოს 6-დან „წ.-კ. საზ." წიგნის მაღაზია.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პ...-ში მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი: ერთის წლით 6 მან. ..., თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 2 მან.

!!მიაქციეთ ყურადღება!!
ჩინეთის მაღაზია
დ. ფ. დემენტიევის
გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის ... სობრანიეს გვერდზედ.
ივემეთ ჩაი პირველი მოკრებისა 1898 წლისა
მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი
ჩაი და ყავა იყიდება წვრილად და პარტიობით
ყოველს მყიდველს ჩვენის ჩაისას დაეთმობა მანეთზე აბაზი და საჩუქრად მიიღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საქირო და სათვალსაჩინო ნივთს.
ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენგან იმას
საჩუქრად მიეცემა ჩაის სერვიზი
იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის ნივთები
საჩუქრებისა და ნიშანთებისათვის
მაღაზიები იმყოფება როსტოვ-დონზე, კიევში, ოდესაში, იალტაში, ნიკოლაევში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფილისში
!!მიაქციეთ ყურადღება!!
(100—84)

სამკურნალო და სასარგებლო დასალევი

ქეფირი და კუმისი

ერთად ერთი ქარხანა, რომელიც არსებობს 1887 წ.
მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილდოვებული ორს გამოფენაზე.
იყიდება მხ. ვ ლოდ ო. კართანსთან ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ზუბალოვის სახლებში ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წევრთათვის და მოწაფეთათვის, ფასი დაკლებულია.
(100—87) ო. კართანა.

ქართული წერის რვეულები
(ახალი გამოცემა)
„დედა-ენასთან" სახმარებელი, დაიბეჭდა ახლად საუკეთესო ქაღალდზე და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ფასი ოთხი კაპეიკი. ვინც ნაღდს ფულზე იყიდის ასობით, იმას თითო რვეული მიეცემა $3^3/_4$ კაპეიკად; ხოლო ვინც ხუთასობით იყიდის, თითო რვეული დაეთმობა სამ კაპეიკ ნახევრად $3^1/_2$ კაპ. (6—4)

ხუთშაბათს, 14 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზედ სათავად აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია
„შუამავალის"
ამხანაგობის საგანგებო საზოგადო კრების გაგრძელება.
წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები.

ქ. ტფილისში
ექიმი
ნიკო თომას ძე
ერისთავი
შინაგანის დანერვების ავად. მყოფებს ყოველ დღე დილის 11—12 1/2-მდე და საღამოს 7—8 საათზე მიიღებს.
მადლის ქუჩა, მამულოვის სახლი.
(10—8)

ექიმი
გ. ს. გენცენფილდი
ეხლახან დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან.
არჩენს ავადმყოფებს ვენერიულის (სიფილისი) და საშარდეთა სენისაგან და გარეგანი (კანის) ტკივილებისაგან (ელექტრონით).
ავადმყოფთ ყოველ დღე ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდე.
კუკიაში მადლის ქუჩა № 5.

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი, არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო თვალები, ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. გერაძე.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი ზ. თ. ქოგანი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისათვის.
სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია
Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ

## ახალი ამბავი

** გარდაცვალება უგანათლებულესი თავადის გრუზინსკისა. ვორონეჟის გუბერნიის სოფ. ეკატერინოვკაში გარდაიცვალა ქართველ მეფის გიორგის მე-XIII შვილიშვილი უგანათლებულესი თავადი გიორგი ილიას ძე გრუზინსკი, რომელიც სამხედრო სამსახურში ჰმსახურებდა და დამსახურებული ჰქონდა პოლკოვნიკის ხარისხი. 1864 წელს მან სამსახურს თავი დაანება და დასახლდა თავისს მამულს ეკატერინოვკაში. განსვენებულის გვამი დაასაფლავეს 4 ოქტომბერს მოსავაში, თავ. გრუზინსკთა საგვარეულო ეკლესიაში. წირვა და პანაშვიდი გარდაიხადა ქართულს ენაზედ მღვდელმა ღამბაროვმა.

** დრამატიული საზოგადოების საგანგებო კრება. დრამატიული საზოგადოების გამგეობას დაუნიშნავს საგანგებო კრება კვირისათვის, 17 ოქტომბერს. ამ კრებაზე, სხვათა შორის, მოისმენენ გამგეობის მოხსენებას იმ უხვი შემოწირულობის გამო, რომელიც შესწირა მთავარ-მართებელმა.

** დრამ. საზ. გამგეობას წინადადება შეაქვს, თურმე საზოგადო კრებაში, რომელიც შესდგება კვირას, 17 ოქტომბერს, რომ მთავარ-მართებლის მიერ შემოწირული 2,000 მ. ყოველ წლიურად პრემია დაინიშნოს საუკეთესო პიესებისათვის.

** საინტერესო კონცერტი მომავალს პარასკევს, 15 ოქტომბერს ტფილისის კლუბში, რომელიც თ. მუხრანსკიულის სახლებში იმყოფება, კონცერტსა ჰმართავს პეტერბურგიდან ჩამოსუ-

ლი ახალგაზდა არტისტი ქალი ქ-ნი ვუშჩინისა, რომელსაც არა ერთხელ დაუტკბია თავისი მშვენიერის ხმით საზოგადოება პეტერბურგის კონცერტებზე. კერძოდ ჩვენ ქართველებისთვის ეს კონცერტი მით უფრო საყურადღებოა, რომ ქ-ნი გუშჩინისა ყოველთვის ცხარე მონაწილეობას იღებს ხოლმე პეტერბურგელ ქართველ სტუდენტების კონცერტებზე და მით ეხსომება ჩვენ ახალგაზდობას შორეულ რუსეთში წასულთ, იმედი გვაქვს, რომ ქართველი საზოგადოება ისარგებლებს შემთხვევით დაესწრება ქ. გუშჩინის კონცერტზე და მით გადუხდის მადლობას გამოჩენილ არტისტ ქალს.

*** „შუამავლის“ კრება. ხვალ, 14 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია სააღებ-მიცემო ამხანაგობის „შუამავლის“ საგანგებო კრების განგრძელება. ამხანაგობის წევრთ არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები.

*** საოპერეტო წარმოდგენები. ხვალიდან სათავად-აზნაურო თეატრში დაიწყება საოპერეტო წარმოდგენები. პირველ წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი მომღერალი ქალი ტროცკისა და კომიკა დიმიტრევი.

*** თავ. მთავარ-მმართებლის განკარგულებით რამდენიმე შეგირდს, რომლებიც ქუთაისის სასწავლებლებიდგან (გიმნაზიიდგან და რეალურიდგან) არიან ტფილისში გადმოსულები, ნება მიეცეთ ერთ კლასში მესამე წელიწადი დარჩნენ.

† ვლ. ალ. ლუნცაძე. 9-ს ამ თვეს უდროვოდ გარდაიცვალა ახალგაზდა პროვიზორი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ლუნცაძე, გუშინ 12-ს ღვინობისთვეს. მრავალმა ტოლ-ამხანაგმა გააცილა განსვენებული რკინის გზის სადგურამდე, საიდანაც ნათესავებმა წაასვენეს სამშობლოში ს. ყვალთოში. ახალ-გაზდა ვლ. ლუნცაძის უდროვოდ გარდაცვალებამ გული დასწყვიტა მისს ტოლ-ამხანაგს.

*** ახალი ტაძარი. ახალციხიდგან გვწერენ: ახალს ტაძარს, რომელიც შენდება, ეწოდება წმ-ნდა გიორგის სახელი იმის მოსახსენებლათ, რომ ცესარევიჩი გიორგი ალექსანდრეს ძე გარდაიცვალა დ. აბასთუმანში.

ქალაქის კრებამ სთხოვა ბ-ნს გუბერნატორს ამისი ნება მიეცეთ. ეს თხოვნა ბ-მა გუბერნატორმა უკვე გაგზავნა ბ-ნ მთავარ-მართებელთან.

*** ახალციხიდგან გვწერენ: 29 ენკენისთვეს ქალაქის კრებამ დაადგინა: იშუამდგომლოს ვისთანაც ჯერ არს: 1) ქალაქს ნება ჰქონდეს ფული დახარჯოს ხალხის ჭირთან საბრძოლველად, 2) ხაზინამ იკისროს ქალაქის ძველი ვალი 7000 მანეთი, 3) ვალი, რომელიც უნდა მიეცეს ადგილობრივ პოლიციას 1,000 მანეთი ეპატიოთ. მიზეზათ ამ დადგინებისა ქალაქი იმას ამბობს, რომ ამის იქით ქალაქს სახსარი ექნება დააარსოს საავადმყოფო ამბულატორიით

*** კახეთის მევენახეების კრება დაიწყო ქ. თელავში 10-ს ამ თვეს და გაგრძელდება 25 ამ თვემდის. მიზნათა აქვთ ღვინის-ძიება იხმარონ და ღვინოები კარგ ფასად გაასაღონ. კრებაზედ თავმჯდომარეობს ბ-ნი გეევსკი, მდივნათა ჰყავთ ი. ზ. თავ. ანდრონიკაშვილი გარდა ამისა ამ კრებას მიზნათა აქვს ის, თუ როგორ დაიცვან ვენახები სხვა და სხვა ჭირისაგან.

*** დასეტყვის გამო. გორის მაზრის სოფელ ოქონის საზოგადოებამ არზა მიართვეს მთავარმმართებელს, რომ მათ შემწეობა აღმოუჩინონ როგორც დამშეულთ, წრევანდელს დასეტყვის გამო

*** ჩვენი ბანკის ცვლილებაზე. როგორც „ახ. მიმ.“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ, გამოქვეყნებულია, რომ შეცვლილ იქმნას ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის წესდება.

*** ახალი ჯარის გამოყვანა ტფილისში. 15 ამ თვეს ტფილისის საბჭოს დარბაზში მოხდება კრება წელს წასასვლელის ჯარისა. წასაყვანათ მოწვეულია წელს 630 კაცი, სულ უნდა მიიღონ ამ რიცხვში 196 კაცი. წელს ხალხის ტომებათ არ გაიყოფიან.

*** ჩვენ გვატყობინებენ. გუდაუთს და კობს შუა მოვიდა ძალიან დიდი თოვლი, დეპეშების მიწერ-მოწერა შეუძლებელია დიდი ყინვების გამო. ტფილისის ტელეგრაფი ვეღარ მუშაობს როსტოვთან ოდესასა, როსტოვს, და ტფილისს შუაც. შესწყდა დეპეშები. ბაქოსა და ასტრახანს შუასაც არ მუშაობენ. დეპეშები მიდიან მხოლოდ თურქესტანზედ. ნოვოროსსიას და ბათუმს შუაც მიწერ-მოწერა შეწყვეტილია.

*** კახეთის რკინის გზაზედ. როგორც მკითხველებს ვატყობინებდით, რომ ქალაქის სადგურად ამორჩეულ კახეთის რკინის გზისათვის ზემო ავჭალას, ეს ტყუილი გამოდგა. ამორჩეული ყოფილა ტფილისის სადგური.

*** ელექტრონის ახალი კონცესიონერი. ელექტრონის საზოგადოებამ „შუკერტმა“ გამოუცხადა სურვილი იმასა, რომ იგი კისრულობს ქალაქის განათებას, რის პირობებსაც მალე გამოგზავნის.

*** ახალი წიგნი. ჩვენ მივიღეთ ექვთიმე ხელაძის მიერ გამოცემული წიგნი „საერთო დღესასწაული თავ. რაფიელ ერისთავის იუბილეის გამო“. ამ წიგნის შესახებ ამ სამიოდე დღის წინად წერილი გვქონდა ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი გამომცემლისა

წიგნში მოთავსებულია ბიოგრაფიული ცნობები მგოსნის პოეტისა, მრავალი სხვა და სხვა წერილები იმავ პოეტზე ჟურნალ-გაზეთებიდან ამოღებული. ყველა სიტყვები და ადრესები საიუბილეო დღეს, 22 დეკემბრისთვეს 1898 წ. წარმოთქმული და წაკითხული და სხ. წიგნი ფრიად საინტერესო საკითხავია; სუფთად და შნოიანად არის გამოცემული, შეიცავს 7 ბეჭდურ თაბახს და ღირს ძრიელ იაფად—ხუთ შაურად.

დიდი მადლობის ღირსია ბ-ნი ექვ ხელაძე ამ წიგნის გამოცემისათვის.

## უხვი შემოწირულობა

ვესწრაფით ჩვენს მკითხველებს ვაუწყოთ ფრიად სასიამოვნო და მრავალ მნიშვნელოვანი ამბავი: გუშინწინ კავკასიის მთავარ მართებელმა თავ. გ. ს. გოლიცინმა პოდპოლკოვნიკის ვასილ დავითის ძე გაბაშვილის ხელით გამოუგზავნა ქართულ დრამატიულ საზოგადოებას 2,000 მანათი ამავე საზოგადოების საჭიროებისათვის.

როგორც მკითხველებმა უწყიან, ქართულს თეატრს მთავარ-მართებლის თავ. ს. ა. ვორონცოვის დროს ჩაეყარა საძირკველი; ვორონცოვისვე დროს უთვალ წლიურად ეძლეოდა ქართულს თეატრს შემწეობა და ამავე დროს გაიშალა, წელში გამაგრდა და აღორძინდა ქართული თეატრი.

მას შემდეგ აგერ ნახევარმა საუკუნემ განვლო და ქართულს თეატრს თვით ქართველ საზოგადოების გარდა მფარველი და მწე არავინ ყოლია.

დღეს კი, ქართულის თეატრის საბედნიეროდ, მას აღმოუჩნდა მფარველად თვით უმაღლესი მმართველი, ხელმწიფის მოადგილე, მხცოვანი თავადი გრიგოლ სერგეის ძე გოლიცინი და ამიტომ გვეფიქრება, რომ ქართულ თეატრის საქმე დღეიდან უფრო საიმედო და უზრუნველ ყოფილ ხანაში შედის.

დიდებულის თავ. გ. ს. გოლიცინის ასეთი უხვი შემწეობა, ასეთი ხელგაშლილობა, ეჭვი არ არის, მოწმობს შემწყნარებლის განსაკუთრებულსა და მოწყალე ყურადღებას ქართველების წარმატებაზე, ხოლო ქართველობის გონებრივი და ქონებრივი წარმატება და დაწინაურება დიად რუსეთს მხოლოდ ძალას, შუქს და ბრწყინვალებას ჰმატებს...

დასასრულ არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ის საერთო სიხარული და მადლობის გრძნობა რომელიც დღვივის ყველა ქართველის გულში ბრწყინვალე თავადისადმი.

ჩვენ კი ჩვენს თავად, ვუსურვებთ დიდებულს თავადს მრავალ-ჟამიერ სიცოცხლეს და კურთხევას მის მადლიან მარჯვენას, რომელიც აგრე უხვად აფრქვევს მადლსა და სიკეთეს!!

## სოხუმი. აქაური ამბები

სხვა კომისიებ შორის სარევი[ზიო] კომისიაც უნდა არჩეულიყო. რო[ცა] საბჭოში რომელსამე კომისიას ირ[ჩე]ვენ, წესიერება მოითხოვს, თავმ[ჯ]დომარე კრებას დაეკითხოს, ვინ გნ[ე]ბავთ კომისიის წევრებად აირჩიოთო[,] ვისაც ხმოსნები დაასახელებენ, კენ[ჭ]ჰიც იმათ უნდა ეყაროთ. სხვა კომისიის წევრები ხმოსნებმა აარჩიეს, მაგრამ სარევიზიო კომისიის წევ[რე]ბი თვითონ აირჩია ბერენსმა. ხმ[ო]სნებმა მოაგონეს ბერენსს თავის [კა]ნონიერი საქციელი და უთხრ[ეს] სარევიზიო კომისიამ თქვენი მო[ქ]მედება უნდა ასწონ დასწონოს ამიტომ თქვენ კი არ უნდა დაასახელოთ წევრები, არამედ ჩვენაო.

აქაურმა მცხოვრებმა საჩინო იოსელიანმა საბჭოსა სთხოვა, იმ ადგილზე, რომელიც ქალაქისაგან იჯარითა მაქვს აღებული, ზღვის პირად ბუფეტი გავაძლე და ვაჭრობის ნება მომეცითო აქვე უნ[და] და მოვიხსინოთ, რომ ხსენებულმა მთხოვნელმა დიდი ამაგი დასდო სოხუმსა: ქალაქისაგან იჯარით აღებულ ადგილებზე გააშენა რკინის ნავთსადგური, რომელსაც თავისუფლად ადგება სხვა და სხვა სანავოსნო საზოგადოებათა გემები და გააცხოველა ვაჭრობა; გააშენა მანდვე აბანო, სადაც ზამთარ-ზაფხულ ყველას, შედარებით იაფად, ზღვის წყალში ბანაობა შეუძლიან; გააშენა მანდვე ბაღი მგზავრთათვი[ს] სასეირნოდ; იქვე გაამრთ ჰობ[ო]ბი, რომლებიც მთელს ქალაქ[ს] ციებ-ცხელებას ავრცელებდა. სა[]ჩინო იოსელიანმა ამოაშენა სანაპირო ქვიტკირით, რაიცა 3,000 მანეთზე მეტი დაუჯდა. ქალაქს იჯარის ფულს წელიწადში 200 მანეთს აძლევს. გარდა ამისა, სხვა გადასახადებს იხდის წელიწადში 100 მანეთამდე.

ყოველივე ეს ხმოსნებმა ანგარიშში ჩააგდეს და ერთხმად გადასწყვიტეს, ნება მისცეთ საჩინო იოსელიანს უსასყიდლოდ გახსნა ბუფეტიო. როცა სჯა-ბაასი ამ საგნის შესახებ გათავდა, წამოდგა ქალაქის თავის თანაშემწე ბ-ნი

·იმიტრიევი და სთქვა, იოსელიანს ქვსასი მანეთი შემოსვლის ამ ბუფეტიდან და ამიტომ გადასახადი უნდა დავადოთ. ხმოსნებმა პროტესტი განაცხადეს, კითხვა ერთხელ გადასწყდა და ხელ-ახლა არ შეიძლება ამასვე დაუბრუნდეთო. მაგრამ ქალაქის თავმა სთქვა: ბამბა დიმიტრიევისა ჩხრიალებსო, ამიტომ რომ ეს დიმიტრიევისაა, ხოლო თქვენი კაკალიც-კი არა ჩხრიალებს... კენჭი მაინც ეყარა ამ საგანს და დაადგინეს: წელიწადში იოსელიანს ათი თუმანი ვადახდეს ბუფეტის გახსნისათვის.

ამავე კრებაზე დადგენილ იქმნა: 1) დროებით გადაკეთდეს საყასბო, რადგან აწინდელი საყასბო, როგორც განაცხადეს სხდომაზე, „ჰაერში ჰკიდიაო, 2) შეწყნარებულ იქმნას სარჩიელი სოხუმის პოლიცმეისტერისა და დაწესდეს ორი ადგილი ცხენოსან დარაჯისა, თითოეულს ჯამაგირად მიეცეს ქალაქისაგან თვეში 25 მანეთი. ამ დარაჯებმა, როგორც ბერენსმა განაცხადა, სხვათა შორის, თვალყური უნდა ადევნონ კამეჩებს, ჰუჰყიანად არ უნდა იარონ ქუჩაშიო). და 3) შემოღებულ იქმნას სოხუმში იარმუკობა წელიწადში ორჯელ გაზაფხულზე და შემოდგომაზე.

განსახილველ კითხვათა შორის უწყებაში აღნიშნული იყო კითხვა—სოხუმში სასწავლებლის დაარსების შესახებ. თავი და თავი საზრუნავი სოხუმელებისა—ამ ჟამად სასწავლებელია. მთელს სოხუმის ოლქს, სადაც 107 ათასი მცხოვრები ითვლება, პროგიმნაზიაც კი არა აქვს და ისე არიან დატან-ჯულნი ორ კლასიან სამთო სკო-ლის სინაბარა. ხმოსნებს ეგონათ, ამ საგნის შესახებ გვექნება ლაპა-რაკიო და ყველანი მომზადებულ-ნი იყვნენ, მაგრამ ბ-ნმა ბერენსმა ეს საგანი სრულებით გამორიცხა უწყებიდან.

სოხუმელს ხმოსნებს უნდა გულწრფელად მივუსამძიმროთ უთერმონიობა. 20 მარიამობისთვის კრებაზე პირველი და უკანასკნელი ...ილა ხმოსნების მიერ საბ... ...ს კრების დროს თერმონიის ... ცოტას კი არა სწყევლიან ...მოსანს თ. სახოკიას, რომელიც ...ინ აღუდგა ბ-ნ ბერენსს ამ საგ...ისათვის საჭირო ფულის გადადე...ბის დროს.

ხმოსანი.

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

**ლონდონი.** „Standard“-ში ...ბეჭდილია დეპე... გლენკოს ბანაკიდგან გამოგზავნილი 8 ოქტომბერს. დეპეშა შემდეგს იუწყება: „ინგლისის ზარბაზნებიდგან ბურებს ყუმბარები ჯერ 2,500 იარდის სიშორიდგან დაუშინეს, ხოლო შემდეგ 1000 იარდზედ მივიდნენ და ბურები თითქმის გააჩუმეს. მოწინააღმდეგე ზარბაზნების ნაცვლად ახლა თოფებს ისროდა, რამაც დიდი ზარალი მიაყენა ინგლისელებს. 9 საათზედ ქვეითა ჯარი და მსროლელნი გორაკაზედ შეცვივდნენ და ბურები უკუ აქციეს. სხვა ჯარმა უკან მოუარა და ამ რიგად ბოერები შუაში მოემწყვდნენ. ამ დეპეშის გამოგზავნის დროს ომი ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ, როგორც ეტყობა, ბოერები მარცხდებიან. ჩვენ შორის 300 მოკლული და დაჭრილია. ბურებმა სამჯერ ამაზედ მეტი იზარალეს“.

**ლონდონი.** იუწყებიან სიას გლენკესთან ბრძოლის დროს მოკლულ და დაჭრილ აფიცრებისას: გენერალი სეიმონსი სასიკვდილოდ იქმნა დაჭრილი, თერთმეტი აფიცერი მოკლულ იქმნა, სახელდობრ, ორი პოლკოვნიკი, ერთი მაიორი, სამი კაპიტანი, ხუთი პორუჩიკი; სამი აფიცერი მძიმედ დაიჭრა: პოლკოვნიკი, მაიორი და კაპიტანი; უფრო მსუბუქად დაიჭრა 17 აფიცერი: ორი მაიორი, ხუთი კაპიტანი და 10 პორუჩიკი.

**კაპშტადტი.** ტრანსვაალის სტატს-სეკრეტარმა რეიცმა ორანჟეს რესპუბლიკის მოქალაქეთ დეპეშით მიჰმართა, რომელშიაც ბრალსა სდებს დედოფალს ვიქტორიას, მილნერს და ინგლისის მოღვაწეთ—შეურაცხყოფას აყენებენ და ატყუებენ აფრიკანდერებსაო. ინგლისი სცდილობს აქაური მცხოვრებნი შეავიწროოს. ინგლისმა ომი იმიტომ დაიწყო, რომ ორი წელიწადი არ დაუცადა ამომრჩევლობის უფლების მინიჭების ვადას, მაშინ, როდესაც თვით ინგლისში უცხო ქვეყნელთ 12 წელიწადი უნდა იცადონ, ვიდრე ამომრჩევლობის უფლებას მიიღებენო.

**ლონდონი.** ოფიციალურის ცნობებით კლენსკესთან ბრძოლის დროს მოკლულ იქმან 31 კაცი, ხოლო დაჭრილ—151 კაცი.

**რიო-დე-ჟანეირო.** ამ ათის დღის წინად სანტოსში შეამოწმეს ცხრა საეჭვო ავადმყოფი, რომელთა შორის სამი გარდაიცვალა. მკურნალნი სხვა-და-სხვა აზრისანი არიან ამ ავადმყოფობის შესახებ. უმრავლესობა ამტკიცებს, რომ ეს შავი ჭირი არ არის და ამ სენის შეჩერება ადვილიაო.

**პარიზი.** ბერანჟემ ჩვენება ჩამოართვა ბარილიესა, დერულედსა და სებრანას და გამოძიება დაამოლოვა. უეჭველია სამშაბათს წარუდგენს თავისს მოხსენებას კომისიას.

**ლონდონი.** „Central News“-ს აუწყებენ დეპეშით გლენკედგან, რომ როგორც ბოლოს არის ნაანგარიშევი, ბოერებთაგან ცოტა მეტი მოკლულია ინგლისელებზედ. ბოერებმა სრულიად წესიერად დაიწიეს უკანაო.

„Liberte“-ის დეპეშა მოსვლია პრეტორიიდგან, რომ ორანჟეს რესპუბლიკის ჯარი შეებრძოლა ინგლისელებს ბესტერის სადგურთანაო. ინგლისელები სრულიად დამარცხდნენ და გაიქცნენ ლედისმიტში, ხოლო ბრძოლის მოედანზედ დიდ-ძალი სამხედრო მასალა დასტოვესო.

**ლონდონი.** („რეიტერის სააგენტოს“ დეპეშა). გაზეთებში შემდეგი დეპეშაა გამოქვეყნებული, მიღებული გლენკედგან: „8 ოქტომბერს საღამოს ინგლისის ცხენოსანი ჯარი უკან მისდევდა ბოერებს, ნაშუადღევს (?) შემდეგ შეეფეთა მეორე რაზმს მტრებისას, დაიწყო ბრძოლა, რომელიც აქამდე არ გათავებულაო“.

კაპშტადტიდგან მოსული დეპეშები იუწყებიან, რომ ბოერები დამარცხდნენ ელანს-ლააგტესთან და დაიწიეს ფეშბანკუსაკენ, სადაც განზრახულია ხვალ დაესხას თავს ინგლისის ჯარიო.

ოფიციალური დეპეშა, 9 ოქტომბერს, საღამოს 8 საათსა და 45 წუთს მოსული ლედი-სმიტიდგან, იუწყება, რომ ჯარი, რომელსაც გენერალი ფრენჩი უფროსობდა, დილის 4 საათზედ გამოვიდა მოდდერიჯურიდგან. შემდეგ გენერალი უაიტი მიჰყვა უკან. 5 საათზედ ინგლისელებმა იძულებულ ჰყვეს და გააჩუმეს სამი ზარბაზანი მტრისა ელანდს-ლააგტესთან. 8 საათსა და 45 წუთზედ ბრიტანიის ჯარმა მტერი შესძრა ადგილიდგან, დაიჭირა მისი ბანაკი და წაართვა ცხენები და სურსათი. ცხენოსანი ჯარი დაედევნა გაქცეულს მტერს. ხმა დადის, რომ ბრიტანიის რამდენიმე ჯარის კაცი დაჭრილიაო, მაგრამ დაჭეშმარიტებით ჯერ არა იციან-რა. დილით მტერი 1,000 კაცად აღრიცხეს; ნაშუადღევს კიდევ სხვა 1,000 კაცს მოელოდნენ.


# განცხადებანი

„უნივერსალნი მაღაზია“

იხილე განცხადება უკანასკნელ გვერდზე.

დაიბეჭდა და გაისყიდება ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების წიგნის-მაღაზიაში.

თხზულებანი

**ა. ს. პუშკინისა**

ავტორის პორტრეტით და ბიოგრაფიით

ფასი 50 კაპ.

**ექიმი**

ქ. მ. ჩიქოვანი

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—-12-მდე და საღამოს 7—8 საათ.

მიხეილის ქუჩა, № 16.

Докторъ К. М. Чиковани

Михайлов., № 16.

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**იმერული სცენები**

შეკრებილი ა. მესხის მიერ

ფასი 5 კაპ.

ვინც „ცნობის ფურცლის“ რედაქციიდან გამოიწერს ერთბაშად 25 ცალს, იმას ერთ მანათად დაეთმობა. (12—12)

იყიდება „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში იაფ-ფასიანი სახალხო გამოცემანი:

| | | |
|---|---|---|
| თავ. ილია ჭავჭავაძე | 2 | „ |
| ალექსანდრე ეპისკოპოსი | 2 | „ |
| სპარსეთის მეფე და ქართველი ტყვე | 2 | „ |
| პატარა ბიბლიოთეკა | 2 | „ |

ვინც ას ცალს გამოიწერს, მანეთზე დაეთმობა ორი აბაზი.

მსურველნი მიჰმართავენ („ცნობი ფურცლის“ რედაქციას. 30—30)

გამოვიდა და ისყიდება ნცობილის და საფრანგეთის საყვარელ პოეტის ბერანჟეს თხზულება.

**„ბერანჟე“**

ქართულად

გ. გვაზავას თარგმანი.

ფასი 40 კაპ.

წიგნი მოზრდილია, სუფთაა და ლამაზად არის ;გამოცემული შეიცავს 4 საუკეთესო ლექს და 0ს ავტორის სურათს.

ვინც ერთბაშად 10 ცალს გამოიწერს, 20% დაეთმობა „ცნობ. ფურც.“ ხელის მომწერთ წიგნი გაეგზავნება ორიაბაზის ფოსტის მარკით. (10—10)

# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ узаконеній.**

преподаетъ **И. Я. БРОНЪ-ФОНЪ-БРЕННЕРЪ, препод. тифлисскихъ учебныхъ заведеній.**

## Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-ха часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца.

**За успѣшныя занятія лучшія аттестаціи отъ учебнаго начальства**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71.** (100—86)

ახლად გახსნილი საწვრილმანო და საპარტიო სავაჭრო

# „უნივერსალნი მაღაზია“

კ. გ. ყარიბოვისა (ტფილისში, ბუშკინის ქუჩაზე, ბუშკინის ბაღთან)

მუდმივ იყიდება ახალი საგალანტერიო, საოჯახო, სამრეწველო და სხვა მრავალგვარი საქონელი პირდაპირ ქარხნიდან გამოწერილი

**ეს არის ახლად მიღებულია დიდძალი**

ქოლგები. შლიაპები. სარკეები.
თეთრეული. სარტყლები. ნესესერები.
კორსეტები. მოსართავები. პორტმონები.
წინდები. ლენტები ყოველნაირი. სანობათო ნივთები.
ჩულქები. ბოლდადები. საქორწილო სამკაულები.
ფუფაიკები. ხელსახოცები. საბავშო ტანსაცმელები.
ქერსე. ყელსახვევები. ქალების კაბების საკაზმები.
პერჩატკები. პირბადეები. ფანჯრის ტულები.
კრუჟევა რუსული და გრან. აგრამანტები. ქსოვილი სუფრები.
შალები თბილი. გამაშები. საბნები ქსოვილები.
შარფები. რედიკულები. ბალიშის პირები.
ყელსახვევი (ბოა). ალბომები. ბამბები შალისა.
ყოველგვარი ფერისა.

კალოშები.
სამრეწველო საქონელი.
**არტურ კრუპპის ქარხნის** ლითონეულობის ნაკეთობა.
**„ალპაკას“ ნახელოვნები**, სქლად მოვერცხლებული.
**სამზარეულო ჭურჭლები**, წმინდა ნიკელიდან სასტუმროებისა და ოჯახისათვის.
**შუშები** ფანჯრებისათვის მოგემიდან.

ფასები ყველაფერზე სულ მცირეა, უკანასკნელი და გადაჭრილი. ჩვენი საქონლის უპირატესობას, სიკარგესა და გამოსადეგობაში შეიძლება ყველა პირადად დარწმუნდეს. მაღაზიას ყოველ კვირა სულ ახალ ახალი საქონელი მოსდის. (50—8)

# СПУТНИКЪ ЗДОРОВЬЯ

## общедоступный еженедѣльный журналъ

**Въ годъ 52 №№ журнала и 12 книжекъ библіотеки «СПУТНИКЪ ЗДОРОВЬЯ».**

**Подписная цѣна** съ пересылкой и доставкой: въ годъ 5 руб., на ½ года 3 руб., За границу 8 р.

**ОТКРЫТА ПОДПИСКА:**

съ 1-го Августа по 1-е Января 1900 года со всѣми приложеніями—2 руб. съ пересылкой.

За всякую перемѣну адреса—50 к., можно марками.

За объявленія: за строку петита въ одинъ столбецъ по 30 коп. (три столбца на страницѣ).

**ЦѢНА ОТДѢЛЬНАГО НОМЕРА 15 КОП.**

Подписка принимается въ конторѣ журнала, С.-Петербургъ, Невскій. 148.

**Въ журналѣ принимаютъ участіе:** В. А. Анзиміровъ.—И. А. Баженовъ.—Проф. Н. И. Быстровъ.—Д-ръ В. М. Бурлаковъ.—Проф. А. Я. Данилевскій.—Проф. В. П. Доброклонскій.—Проф. Г. А. Донбергъ.—Д-ръ А. О. Дукатъ.—Пр. доц. В. Г. Жуковскій.—Проф. С. I. Залесскій.—Д-ръ М. Д. Ильинъ.—Д-рь В. ф. Краевскій.—Проф. П. ф. Лесгафтъ.—Проф. Е. В. Павловъ.—Проф. В. В. Подвысоцкій (Кіевъ).—Проф. А. В. Пель.—Д-ръ В. И. Раммъ.—Проф. И. А. Сикорскій (Кіевъ).—Проф. И. П. Скворцовъ (Харьковъ).—Академикъ Князь И. Р. Тархановъ.—Д-ръ А. Н. Шабанова.—Д-ръ Б. Е. Шэхтеръ и др.

**Подписка на 1899 годъ продолжается.**

Всѣ вновь подписавшіеся на 1899 годъ получатъ журналъ со всѣми безплатными приложеніями съ 1-го Ноября 1898 года по 1-е Января 1900 года, т. е. 60 нумеровъ журнала и 16 ежемѣсячныхъ безплатныхъ книжекъ.

# „ბუნების კარი“

(ახალი შესწორებული გამოცემა)

დაიბეჭდა მეოთხე (50 000) და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში. ეს გამოცემა შევსებულია თექვსმეტი გვერდით უწინდელ წინანდელს გამოცემებზე. ფასი კი დაკლებულია. წინად ღირდა 90 კაპ. ახლა ღირს უდიანად 80 კაპ. ანუ ოთხი აბაზი. ვინც ნაღდ ფულზე ათზე ნაკლებს არ იყიდის, წიგნი დაუჯდება 70 კაპ., ხოლო ვინც ოცზე ნაკლებს არ წაიღებს, იმას წიგნი მიუჯდება 64 კაპ. (6—4)

# იმერული სასადილო

იარმუკაზე, რუსის ქუჩაზე, ვინქის შენობაში მზადდება ყოველ დღე ახალი ხორაგისაგან.

გემრიელად მომზადებული იმერული სადილ-ვახშამი

## კერძი ერთი შაურიდან აბაზამდე

სტაქანი ხაი ტკბილი ორის ბუნდლიკით ერთი შაური.

მაჯგუფეებთ კრისტა დანელია.